



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამო



კამო

კამო (პარტ. ფსევდონიმი; ნამდვ. სახელი და გვარი - სიმონ არშაკის ძე ტ ე რ - პ ე ტ რ ო ს ი ა ნ ი) [15 (27). V. 1882, გორი, - 14. VII. 1922, თბილისი], რევოლუციონერი. რსდმპ-ის წევრი (1901-იდან). დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1901-იდან ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას თბილისში, ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში, გორში და სხვ. იყო არალეგალური სტამბების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1905 მონაწილეობდა მუშათა საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბებასა და თბილისში სამხ. ნაწილებთან შეტაკებაში. 1906 სანქტ-პეტერბურგში შეხვდა ვ. ლენინს, რის დავალებით გაემგზავრა საზღვარგარეთ რუსეთში იარაღის შემოსატანად. პარტიის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის მიზნით 1905-07 რამდენჯერმე მოახდინა ხაზინის თანხის გატაცება („ექსპროპრიაცია“). აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1907 წ. 13 ივნისს თბილისში გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის (ახლანდ. თავისუფლების) მოედანზე საქალაქო ბანკის ორ კარეტაზე თავდასხმა, რ-იც ისტორიაში „ტფილისური ექსპროპრიაციის“ სახელით შევიდა (გაიტაცა 250 ათ. მან.). 1907 ნოემბერში დააპატიმრეს ბერლინში. ციხეში ყოფნისას კ-მ თავი სულით ავადმყოფად გაასაღა, თუმცა 1909 ბოლოს მაინც გადასცეს რუსეთის პოლიციას. 1911 წ. 15 აგვისტოს კ-მ მეტეხის ციხის საავადმყოფოდან გაქცევა მოახერხა და ლენინის დავალებით პარიზში გაემგზავრა, საიდანაც რუსეთში პარტიული ლიტ-რის შემოტანის საქმეს ხელმძღვანელობდა. 1912 რუსეთში დაბრუნებული მალევე დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჭეს. 1913 წლის ამნისტიით სასიკვდილო განაჩენი 20-წლიანი კატორლით შეუცვალეს. 1917 მარტში გაათავისუფლეს. 1919 თეთრგვარდიელთა

გურგში ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი, რ-იც სამხრეთის ფრონტზე იბრძოდა ა. დენიკინის წინააღმდეგ. 1920 აპრილში მონაწილეობდა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. 1920 სწავლობდა მოსკოვის სამხ. აკადემიაში. 1921 მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სისტემაში. 1922 წ. 14 ივლისს თბილისში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა (ვერის დაღმართზე ველოსიპედით მიმავალი ავტომობილს შეეჭახა).

უ. ბლუაშვილი
